# შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 31 ივლისი, 2015 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ, და

შპს „ყაზბეგი ჰესი“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 241495422, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგავას (პ/ნ 01024007590) მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კომპანიას შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაცია განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   “3.4 კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული რაოდენობის რეალიზაცია განხორციელდეს „ესკო“-ზე წინასწარ გაფორმებული ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, „ესკო“ იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის

განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერგიის რაოდენობა, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. „ესკო“-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერგიის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 5.2 პუნქტის მოქმედება“.

3. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
6. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
7. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

____________________

კახა კალაძე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

____________________

ვახტანგ ამზოკაძე

შპს „ყაზბეგი ჰესი“

____________________

გიორგი ჟოგავა

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1326 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ყაზბეგი ჰესს" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ყაზბეგი ჰესს" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

1.3250

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010145800446015

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№4088 25 / მაისი / 2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 15 მაისის №04/1844 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს", სს „GGEDC"-სა და შპს „ენერგიას" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ყაზბეგი ჰესს" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები, რომლებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/535
20/05/2015

535-01-2-201505201643

№ 3157
21 05 2015 წ.
2 ფურც.

თანხმობა ხელმოსაწერი ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტებთან დაკავშირებით

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 15 მაისის #04/1843 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ენერგიას" შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს", სს 'GGEDC"-სა და შპს 'ენერგიას" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა" და შპს „ყაზბეგი ჰესს" შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში

ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგი ამბოკაძე

გენერალური დირექტორი